## *მისი უწმიდესობა იოანე-პავლე II-ის მიმართვა*
## *წმიდა საყდართან აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისადმი*

*შაბათი, 16 იავნარი, 1993 წ.*

„ერთის მხრივ, საზოგადოების ინტეგრაციის მოსურნე, მეორეს მხრივ კი ნაციონალისტურ-ეთნიკური დეზინტერგაციის ცდუნებას აყოლილი ევროპა მტკივნეული გარდაქმნებს განიცდის. ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასა (მაგალითად, საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში) თუ ბალკანეთში გამოვლენილი დაძაბულობა და ძალადობა მძიმე ტვირთად დააწვება კონტინენტის მომავალს. ეს ტრაგიკული გაურკვევლობა პრობლემებს შეუქმნის მშვიდობიან და აყვავებულ დასავლეთ ევროპას, რომელიც 1 იანვრიდან „საერთო ბაზრის“ ხანაში შევიდა. პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტით გაერთიანებულმა და საერთო ფასეულობების მოზიარე დასავლეთ ევროპამ უნდა განამტკიცოს კავშირები, სოლიდარობა და გახსნილობა კონტინენტის დანარჩენი ნაწილის მიმართ. ჭეშმარიტი და ხანგრძლივი პროგრესი შეუძლებელია ერთიერთმანეთის გარეშე თუ ერთმანეთთან დაპირისპირებით, მით უმეტეს, იარაღით ხელში“.